პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 234 (11540)
ოთხშაბათი
7
ოქტომბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მო წოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისთვის).

პარტია მოგვიწოდებს კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ

დიდი აღმავლობით შეხვდა საბჭოთა ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავის გამო. ამ მოწოდებებში ლენინურმა პარტიამ ოქტომბრის დღესასწაულისათვის შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სახელოვან მიღწევათა მთავარი შედეგები, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის 42-ე წლისთავი აღინიშნა კომუნიზმის მშენებელი ხალხის მრავალი სახელოვანი საქმით.

მიმდინარე წელი შვიდწლედის პირველი წელია. ჩვენ კარგად დავიწყეთ სკკპ XXI ყრილობის მიერ შემუშავებული გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელება. და ეს დასაწყისი წარმოშობს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ხალხი ვადამდე შეასრულებს შვიდწლიან გეგმას. ბევრი კარგი რამ შეიტანა მიმდინარე წელმა საერთაშორისო ვითარებაშიც. ამბანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მის საუბრებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან, შეხვედრებს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ყველა ხალხი სამართლიანად აფასებს როგორც უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, ცოცხალ მენეგზეზე გონების გამარჯვებისათვის. მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

უკანასკნელი დროის ისეთი უდიდესი მოვლენები, როგორიც არის საბჭოთა კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება მთვარეზე, მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ ჩადგომა მწყობრში, ახალი საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება, რომელზეც დადგმულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური და რომელიც ახლა მთვარისაკენ მიფრინავს, — ყოველივე ეს მკაფიოდ მოწმობს სოციალიზმის ყოვლისმძლე ძალას, ჩვენი ხალხის შემოქმედებითს, აღმშენებლობითს ძალას, რომელიც ახორციელებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად იდეებს.

— გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ დროშას, ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს!

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს 42-ე წლისთავის წინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, გამოხატავს რა ყველა საბჭოთა ადამიანის გრძნობებს, მეზნებარე სალამს უთვლის ყველა ქვეყნის მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ავანგარდს მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში დაე განმტკიცდეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ურღვევი ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა, დაე გაფართოვდეს მშრომელთა ყველა ორგანიზაციის თანამშრომლობა, რომელიც გაერთიანებული არიან საერთაშორისო სოლიდარობის ძმური კავშირით და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით.

მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ჩვენი დროის მთავარი საკითხია. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოწოდებთ მიმართავს ყველა ხალხს იბრძოლონ ყველა სახელმწიფოს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და სამუდამოდ აკრძალვისათვის, მტკიცე მშვიდობისათვის.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის გადამწყვეტი ფაქტორია დღითიდღე მზარდი სოციალისტური ბანაკი, რომელიც ახლა მთელი კაცობრიობის მესამედზე მეტს აერთიანებს.

— გაუმარჯოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემას! დაე მტკიცდე

შვიდწლიანის ადამიანები

დაუღალავი მარჯვენა

1937 წელი. ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა წევრებმა არქიპო ნაჟუბიამ და ტატიანა ტყებუჩავამ კომუნისტური ოჯახი შექმნეს. ახლად დაქორწინებულება მთელი სოფელი ულოცავდა ბედნიერებას, უსურვებდა წარმატებებს შრომითს საქმიანობაში. და მართლაც, სულ მალე, არა მარტო სოფელში, არამედ რაიონის ფარგლებს გარეთაც ცნობილი გახდა მათი მიღწევა ჩაის უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

გადიოდა დღეები, თვეები, წლები... ტატიანას შვილები ეყოლა. მიუხედავად ამისა, იგი არ შორდებოდა ჩაის პლანტაციას, დღიურ გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, ამასთან მზრუნველობას არ აკლებდა პატარებს, ოჯახს.

1941 წლის ივნისი. საბჭოთა ადამიანების შეგიდობიანი შემოქმედებითი შრომა დროებით შეწყვიტა ფაშისტური ურჩხულის თავდასხმამ. დაიწყო დიდი სამამულო ომი. არქიპომ სხვა თანასოფელელ ვაჟკაცებთან ერთად იარაღი აისხა და საყვარელი საშობლოს დასაცავად წავიდა. გამგზავრების წინ მაა მეუღლეს უთხრა: ტატიანა, აბა შენ იცი, ოჯახს თუ არ შეარჩენენ, ბავშვებს არ აგრძნობინო უმამობა. ორმაგად, სამმაგად და უფრო მეტად მოგიხდება ძალღონის დაძაბვა, რათა მეტი ჩაი მისცე დედასაშობლოს. მე კი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ სამართლიანი საქმისათვის, ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისათვის. ტატიანამ ფიცი მისცა ომში მიმავალ მეუღლეს, რომ სახელოვნად შეასრულებდა მის სიტყვას. ახალგაზრდა ქალმა მტკიცედ შეასრულა ეს ფიცი.

ტატიანა მეორე დღესვე გამოცხადდა არტელის გამგეობაში და ითხოვა სამუშაო მიეცათ ქმრის ბრიგადაში. მას მიანდეს იმ ბრიგადის ხელმძღვანელობა, რომელსაც მისი მეუღლე წინამძღოლობდა. ენერგიულმა ქალმა მტკიცედ დარაზმა კოლმეურნეები მალი მოსავლის მიღებისათვის საბრძოლველად.

ზურგში მამაცური შრომისათვის 1943 წელს მოწინავე ბრიგადირი ტატიანა ტყებუჩავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. კეთილსინდისიერი შრომის გზაზე გამარჯვება უსაოუოდ დიდი იყო და იგი ამისათვის სათანადოდ დაფასეს. მაგრამ ტატიანა მიღწეულით როდი დაკმაყოფილდა. მას გული მოუწევდა საგმირო საქმისაკენ. მან ითხოვა მოსავლიანად მიეცათ ჩაის პლანტაცია. გამგეობამ, პარტიულმა ორგანიზაციამ ტატიანა ტყებუჩავას გამოუყვეს 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ეს მოხდა 1943 წლის შემოდგომაზე.

ამ დროიდან ტატიანა ტყებუჩავამ სახელი გაითქვა, როგორც ნოვატორმა მეჩაიემ, სარეკორდო მოსავლის ოსტატმა.

ტატიანას მეუღლე დაბრუნდა ფრონტიდან, მაგრამ ჭირლობები გაურთულდა და დიდხანს აღარ უცოცხლია. კომუნისტი დედა მორალურად როდი დაცემულა. ტატიანამ უფრო გაძლიერა მუშაობის ტემპი და მისი სასახელო საქმეები ცნობილი გახდა.

ნოვატორი მეჩაიეს შრომითი მამაცობის შესახებ მოვიყვანთ უკანასკნელი ოთხი წლის მაჩვენებლებს:

1955 წელს ტატიანა ტყებუჩავამ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 11.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1956 წელს — 12.000 კილოგრამი, 1957 წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მოკრიფა 11.996 კილოგრამი, ხოლო 1958 წელს — 12.650 კილოგრამი. შარშან გამოიმუშავა 1.047 შრომადღე, პრემიის სახით დაერიცხა 300 შრომადღე, მარტო პრემიად მიიღო 20.000 მანეთი.

დიდი ფულადი შემოსავლით ტატიანამ ახლებურად მოაწყო თავისი ცხოვრება: აიშენა მშვენიერი ოდა სახლი, შეიძინა ძვირფასი ავეჯი. მისი შვილები ყველანი შრომისმოყვარენი არიან. ვაჟი გურამი ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტია და მისი დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილი აქვს საშუალოდ დაბრუნდეს შობლიურ კოლმეურნეობაში. ქალიშვილმა ზაირამ წელს დაამთავრა სოფელ ზანის საშუალო სკოლა და სიმწიფის ატესტატი ჩაის პლანტაციებს მიაშურა. ყოველდღიურად 35-40 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს ნაცვლად გიგმით გათვალისწინებული 25 კილოგრამისა. ომიანობა ქალიშვილები იზოლდა და მალინა სწავლობენ. არდადეგების პერიოდში ჩაის პლანტაციებში ტრიალებდნენ და ჩაის ფოთოლს კრეფდნენ.

დაუვიწყარი, ღირსშესანიშნავია ტატიანას ცხოვრებაში მიმდინარე წლის 27 იანვარი. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა XXI ყრილობა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო კომუნისტმა ნოვატორმა მეჩაიემ ტატიანა ტყებუჩავამ. სოფელში დაბრუნებისთანავე ტატიანა თანასოფლელებს ესაუბრა ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ გადაწყვეტილებებზე, იქ მიღებულ შობამეჭდილებებზე; კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამის პასუხად ტატიანა ტყებუჩავამ იკისრა 0,7 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოეკრიფა 13.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ნოვატორმა მეჩაიემ სიტყვა საქმედ აქცია: დღემდე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 13.585 კილოგრამზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი.

ტატიანა ტყებუჩავას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან ხშირად მოდის წერილები, რომლებითაც სთხოვენ გუშხაროს თავისი მდიდარი გამოცდილება.

როცა ეცნობით მის სახელზე მოსულ ფოსტას, ნახავთ პაკეტი ტუმპელებს: ხარკოვიდან, კიევიდან, ესტონეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, ბელორუსიიდან და სხვ. ტატიანა შემდგმდებითი შრომის შემდეგ პოლობს თავისუფალ დროს და ყველა წერილზე აძლევს საჭირო პასუხს, აცნობს კოლმეურნეობის მაჩვენებლებს, ბირად მიღწევებს, არტელის ეკონომიკას, კოლმეურნეთა შემოსავალს და სხვ.

ამასთან ერთად ტატიანამ „კომუნისტის“ საშუალებით გაიგო, თუ რა მიღწევები აქვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუანშანის (სისიანის მაზრა, ანხუეის პროვინცია) სახალხო კომუნის წევრს ჩაის მკრეფავს ჯან ცინ-ხეს, რომელიც დღეში 250 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ამ ამბავმა ტატიანა ძალიან დაინტერესა. იცნობ მეგობარს მან გაუგზავნა სიყვარულით აღსავსე წერილი, გააცნო თავისი მიღწევაც და ბოლოს სთხოვა გამოეხმაურა მის წერილს, დამყარონ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა და შეეჯიბრონ ერთმანეთს შრომაში, მეტი ჩაისათვის ბრძოლაში. ამასთან სთხოვა საღამი და კეთილი სურვილები გადასცეს სახელოვან ჩინელ მეჩაიეებს.

ტატიანა ტყებუჩავა ენერგიასა და ცოდნას არ იშურებს იმისათვის, რომ თანასოფლელებს გააცნოს ჩაის უხვი მოსავლის მიღების მეთოდი. ამის შედეგად კოლმეურნეობაში ორმოცდათორმეტი მეჩაიე ჩაის კრეფის დღიურ დავალებას ორმაგად და სამმაგად ასრულებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინერა ტყებუჩავას, ზოია აფაქიძის, ლენა ტყებუჩავას, ანა ტყებუჩავას, ეკატერინა ტყებუჩავას და სხვათა ენერგიული მუშაობა. ტატიანას მიმდევრები ჰყავს არა მარტო თავის სოფელში, არამედ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

ასეთია ამ ნოვატორი მეჩაიეს, კომუნისტ ტატიანა ტყებუჩავას ცხოვრებისა და შრომის სახელოვანი გზა.

ვ. ᲬᲘᲠᲚᲐᲕᲐ,
ცხაკაიას რაიონული გაზეთის „ავანგარდის“ რედაქტორი.

* * *

სურათზე: ტ. ᲢᲧᲔᲑᲣᲩᲐᲕᲐ.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

მᲔᲓᲝᲠᲔ ᲓᲘᲜᲔᲑᲐ

— ᲮᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲒ-ᲙᲐᲠᲒᲘ ამ მაჩვენებლებში თვალნათლივ ხედავთ, — ასე დაიწყო სანგარიშო მოხსენება პარტბიუროს მდივანმა რ. ბაგაევმა და კედლებზე ლამაზად გაფორმებულ დიაგრამებს, ციფრობრივ მაჩვენებლებს შეავლო თვალი. არც ერთ კომუნისტს არ ეუცხოთა ეს სიტყვები. ეს განსაგებიც იყო. ვინ არ იცის კოლმეურნეობის მაჩვენებლები. ისინი ხომ ციფრებს გარდა საკუთარი თვალით ხედავენ სამუშაოთა მიმდინარეობას საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში, ბაღსა და ვენახში, ბოსტანსა და ბაღჩაში.

რ. ბაგაევმა შემდეგ წლევანდელი მაჩვენებლები შარშანდელს შეადარა, ამასთან აღიარა, რომ საკოლმეურნეო წარმოების ზოგიერთ უბანზე წინსვლა მცირეა, ზოგან კი ხარეზებმა იჩინა თავი.

კ. ხეთაგუროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელი ერთ-ერთი მსხვილი, მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობაა სტალინირის რაიონში. სოფელი საოლქო ცენტრის ახლოს მდებარეობს და დიდი მოვალეობა აკისრია ქ. სტალინირის მოსახლეობისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებას საქმეში. კოლმეურნეობის მინდვრები დასერილია დიდი ლიახვიდან მოჩუხჩუხე სარწყავი არხების ქსელით. ამ რამდენიმე წლის წინათ დაისახა დიდშემოსავლიანი დარგების — მებაღეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის განვითარების ფართო გზაზე გამოყვანის ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა, მომხსენებელს არც ისე სახარბიელო რამ უთქვამს ამ დარგებზე. უკანასკნელ წლებში გაშენებული ოციოდე ჰექტარი ვენახი მოუვლელია და წელს უმნიშვნელო მოსავალს ელიან. ნელი ტემპით ვითარდება მებაღეობაც, თუმცა აქაური ვაშლი საუკეთესო ხარისხისაა და გამძლეა. კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მხრივ მებაღეობისა და მევენახეობისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება იმის მიზეზია, რომ ხეთაგუროველები რაციონალურად ვერ იყენებენ მიწის საკარგულებს.

კრებაზე კომუნისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ თუ კოლმეურნეობას წელს სიმინდისა და შაქრის ჭარხლის სუკეთესო პლანტაციები აქვს, ეს მექანიზატორთა ბრიგადისა და მისი პარტიული ჯგუფის დამსახურებას უნდა მიეწეროს. მექანიზატორები დაუღალავად შრომობენ, პირნათლად ასრულებენ ვალდებულებებს.

— მექანიზატორები მართლაც სანიმუშოდ მუშაობენ, — განაცხადა კომუნისტმა ა. მალიძიკვიემა. — ტექნიკა მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად მოქმედებს. მექანიზატორები მინდვრის სამუშაოთა 90-95 პროცენტს ასრულებენ.

...სანგარიშო კრების წინადღეს ანგარიშგება-არჩევნები მოეწყო პარტიულ ჯგუფებში. პარტიული ჯგუფები შექმნილია მემინდვრეობის ორ ბრიგადასა და მექანიზატორებთან. მექანიზატორთა ბრიგადის პარტიული ჯგუფის კრებაზე ქებით იხსენიებდნენ ტრაქტორისტებს მ. ვახაგოვს, ი. ტარაევს, შ. ხანიროვს, რომლებმაც დროზე, მაღალხარისხოვნად დათესეს 41 ჰექტარზე შაქრის ჭარხალი და ჩაატარეს ნათესების ორმხრივი კულტივაცია. პარტიული ჯგუფი სათავეში უდგას მექანიზატორთა შრომას, კომუნისტები პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ ადამიანებს. მათ 10 სამუშაო დღეში აიღეს შემოდგომის ხორბალი და ჰექტარზე 12 ცენტნერი მოსავალი მიიღეს, ამ ბრიგადის შესახებ ბევრი კარგი ითქვა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც. მაგრამ მოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, დროულად რომ გაეწმინდათ, დაეხარისხებინთ სათესლე მასალა, გულდასმით დაემუშავებინათ ნათესები.

კრებაზე კომუნისტებმა ა. თეგკაევამ, ჩ. მამიევამ, თ. ტარაევამ აღნიშნეს, რომ კოლმეურნეობაში ჩამორჩენილ უბნად ცალკე მეცხოველეობა ითვლება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, კერძოდ, ძროხების სულადობის განვითარების გეგმა შეუსრულებელია. შეუწყნარებლად ჩამორჩება წველადობა. წლიური დავალების შესრულებას აკლია 400 ლიტრი, საშუალოდ თითოეული ძროხა კი იმ[illegible] ვა, რომ დარჩენილ სამ თვეში ეს დანაკლისი შეივსოს, კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ფუხაევი და მეძროხეობის ფერმის გამგე შ. ხუბაევი, რომლებიც გულდამშვიდებით შეაჯერებენ რამდენიმე წლის წინათ დაწყებულ საძროხის მშენებლობას. ზამთარი კი კარზეა მომდგარი.

— თუ საძროხის მშენებლობა მოკლე დროში არ დამთავრდა, პირუტყვი კვლავ უთვარგის ბინაში გამოიზამთრებს და ზეაღდომის მაჩვენებელი კიდევ უფრო დაეცემა, — განაცხადეს კომუნისტებმა. მათ ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე მეფრინველეობაზე. და მართლაც, კოლმეურნეობას, რომელსაც მარცვლეულის დიდი მეურნეობა აქვს, ცხრაასიოდე ფრთა ქათამი ჰყავს და თვითეულ კვერცმდებელ ქათამზე მხოლოდ 30-35 კვერცხს იღებენ წელიწადში. ეს ციფრი ბევრად ნაკლებია, ვიდრე მისი მეზობელი კოლმეურნეობები იღებენ.

— საქმე უკეთ წავიდოდა, — ამბობს კრებაზე კომუნისტი ჩ. მამიევი, — რომ პარტიული ორგანიზაცია საკმარი ყურადღებას აქცევდეს ბრიგადებში, ფერმებში, მშენებლობებზე პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას. ფერმაში ვერ მოხერხდა პარტიული ჯგუფის შექმნა. აგიტატორები კ. ლოხოვა, კ. ჯირავა და სხვები იშვიათად აწყობენ საუბრებს და თუ აწყობენ, ცხოვრებასთან, კოლმეურნეობის საქმიანობასთან მოწყვეტილად განყენებულად.

კრებაზე გამოვლინდა, რომ პარტიული ორგანიზაცია განზე უდგას სოციალისტურ შეჯიბრებას. ხეთაგუროველებმა შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სტალინირის რაიონის სოფელ ვანათის კოლმეურნეობა. ხელშეკრულებაც კი გაფორმდა, მაგრამ ყველაფერი ამით დამთავრდა... ასევე მოიქცნენ ზაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის მომართაც. ამ ორი კოლმეურნეობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება არავინ არ შეამოწმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა მიიტვწყეს იგი. თვითდინებაზე მიუშვეს ეს საქმე შედეგს არ იძლევა. და სწორი იყვნენ კომუნისტები, როცა ისინი კრებაზე აცხადებდნენ, რომ კ. ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის საქმიანობაში მდორე დინებას ზღვარი უნდა დადოს. პარტიული ბიურო მოვალეა უნარიანად განახორციელოს კონტროლის უფლება, ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლით მიაღწიოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობას.

Ი. ᲗᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

თბილისელი ტალღებზე რწევით მიუახლოვდა ნაპირს, წინ შესანიშნავი პანორამა გადაიშალა.

— ეს რა ადგილია? — შეეკითხეთ თბილისელს კაპიტანს.

— ბიჭვინთა, — გვიპასუხა მან, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა თბილისელი ნაპირთან შეაჩერა, დასძინა: ზღვისპირეთის ნამდვილი მშვენებაა ეს დალოცვილი. ზოგიც მაშინ ნახეთ, აქ ახალი საკურორტო ქალაქი რომ აშენდება.

შესანიშნავი ჰავა, ზღვის მომხიბვლელი სანაპირო და მრავალი სხვა სიკეთე ბიჭვინთაში ათასობით დამსვენებელს იზიდავს. ვინც კი აქ ერთხელ მოხვედრილა და ჯანმრთელობის გამკაჟებელი, მრავალ დაავადებათა განმკურნავი მისი სასწაულებრივი ძალა გამოუცდია, ამ ადგილის ყოველწლიური სტუმარი გამხდარა. დამსვენებლები აქ მოდიან არაორგანიზებულად. თუ ბუნების მიერ შექმნილი სიკეთე ჯარბად იგრძნობა, სამგიეროდ ნაკლებია ის კომფორტი, რაც დამსვენებლებს ამ სიკეთესთან ერთად ესაჭიროებათ.

და აი გადაწყდა ბიჭვინთაში აშენდეს საკურორტო ქალაქი მთელ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი პანსიონატით, რომელიც ერთდროულად ორი ათასამდე სტუმარს მიიღებს.

ტერატორიაზე, სადაც ახალი საკურორტო ქალაქი უნდა აშენდეს, განლაგებულია მეფრინველეობის ფაბრიკა, მერძეეობა-მებოსტნეობისა და მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობები. მათ ახლოს მიმდინარეობს ასობით ჰექტარი დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის სამუშაოები, რაც ახლო ხანში უნდა დამთავრდეს. ეს დაწესებულებანი ნაჭაობარზე გადაინაცვლებენ, ხოლო მათ ადგილს მოშავალი საკურორტო ქალაქი დაიკავებს.

* * *

გვენახა მშენებლები, გავცნობოდით მათ შრომითს საქმიანობას — აი სურვილი, რომელიც მყისვე დაგვებადა. გაგებული გვქონდა, რომ ბიჭვინთაში — აფხაზეთის ამ უძველეს ნაქალაქარზე, საკურორტო ცენტრის მშენებლობაში მონაწილეობდნენ რუსთავის მშენებლები.

ტყეში ახლად გაკვალულ ბილიკს გავყევით. გვინდოდა უკითხავად მიგვეგნო სასურველი მასპინძლებისათვის, მაგრამ ამ მიდიხარ საპატიო ყარაულივით ჩამწკრივებულ ფიჭვთა შორის და თითქოს ტყეს დასასრული არ უჩანს. არც გსურს, რომ დასრულდეს ეს ამქვეყნიური სამოთხე. ბოლოს, შარაზე აღმოვჩნდით.

გზატკეცილზე ავტომანქანა გამოჩნდა. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა და კაბინის გამოღებულ კარზე შეენიშნეთ ნაცნობი წარწერა ЗМС—უდაბნოში ნახეტიალებ დამაშვრალს ისე არ აღაფრთოვანებს წყაროს დანახვა, როგორც ამ ავტომანქანის შეხვედრამ გაგვახარა.

— სადაური ხარ, ძმობილო? — შეეკითხეთ მძღოლს.

— რუსთავიდან ვარ.

— ვერ მიგვასწავლით, სად არის თქვენი სამშენებლო სამმართველოს კანტორა?

— დაბრძანდით და მიგიყვანთ.

რკინიგზის სადგურ ბზიფის მახლობლად მძღოლმა ავტომანქანა შეაჩერა.

— აგერ ის არის „ბიჭვინთმშენის“ კანტორა, — გვითხრა მაილოვმა და ერთსართულიანი ხის შენობა გვანიშნა.

მოზრდილი ტერიტორია სამშენებლო მასალებით მოფენილიყო. შორიდანვე ვიცანით რუსთავში დამზადებული დაძაბულ-არმირებული დიდი დიამეტრის მილები. აქვე იყო რუსთაველის წარმოების წიდაბლოკები, რკინაბეტონის სხვადასხვა ნაკეთობანი, ფურცლოვანი ფოლადი, მოწყობილობა ბეტონის კვანძისათვის, ტრანსპორტიორი, ელექტროძრავა, ინერტულ მასალათა ვიბრიდამხარისხებელი...

მშენებლობის თავკაცთაგან კანტორაში არავინ დაგვხვდა.

— აი იქ, პლატოზე იქნებიან, — გვითხრა თანამშრომელმა ქალმა და გზის გადაღმა, გორაკისაკენ მიგვითითა.

* * *

ახლად გაყვანილ გზას ზემოთ ავუყევით.

წინ ახალგაზრდა კაცი შემოგვხვდა.

— მანუილ, საიდან, როგორ, აქ ისვენებ? — შეეკითხეთ ძველ ნაცნობს, რუსთაველ მკვიდრს ინჟინერ ვაჩეიშვილს.

— კი არ ვისვენებ, დამსვენებლებისათვის ვაშენებ, — მოგვიგო მან.

— შენ უკვე მეორე რუსთაველი ხარ, დღეს აქ რომ შემხვდა.

— მხოლოდ მეორე? ჩვენთან ასეთები ბევრნი მუშაობენ. აქ არიან რუსთავიდან წამოსული ინჟინრები: ვალოდია ცინცაძე, ედვარდ ახვლედიანი, გეოდეზისტი არუთინ კირაკოსიანი, ტექნიკური მომარაგების უფროსი გიორგი ჩარკვიანი... ახლა რიგით მშენებლებს არ იკითხავთ! თუმცა რა საჭიროა ყველას ჩამოთვლა, წავიდეთ, თვითეულ ნარკვევი

მათგანს პირადად გაჩვენებთ.

— აი ისინიც — ამ უსახელო მაღლობის გმირები, — თქვა მანუილმა და შესვენებისას ფარდულის ჩრდილში თავმოყრილ ახალგაზრდებთან მიგვიყვანა, — იცნობდეთ, ეს რუსთავში ცნობილი და აქაც საკმაოდ სახელმოხვეჭილი მექანიკოვატორე ნიკოლოზ ნეკრასოვია. ამჟამად ხელმძღვანელობს მექანიზატორთა ბრიგადას, რომელიც ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს.

...ეს რუსთავის ბინათმშენებლობის სამმართველოში ნამოღვაწარი კალატოზი ოთარ დაბრუნდაშვილია. მშენებლობის დაწყების პირველივე დღიდან ჩვენთან მუშაობს. მას წილად ხვდა ბედნიერება ამ უკაცრიელი მიდამოს პირველი სახლის საძირკველში ჩაედუღაბებინა პირველი ქვა. მარტო კალატოზობას როდი დასჯერდა. ხის სამუშაოებსაც თვითონ ასრულებდა, შემდეგ კომკავშირელთა კომპლექსურ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და, რაღა ბევრი გავაგრძელო, ყველა ეს სახლი ამ ახალგაზრდა ენთუზიასტთა ნაწილავია.

...მათმა თანამოქალაქემ მძღოლმა ვალიკო ბიბილაშვილმა კი ისეთი საქმე გააკეთა, რომ ყველას აჯობა.

— როგორ, რით? — შეაწყვეტინეს საუბარი „განაწყენებულმა“ მშენებლებმა.

— რითა და იმით, რომ ჩვენთან მომუშავე აღმრიცხველი ვალია ცოლად შეირთო და მშენებელთა ახალ დასახლებაში პირველი ოჯახი დაამკვიდრა.

ინჟინერი ვაჩეიშვილი კიდევ კარგა ხანს განაგრძობდა სახელოვან მშენებლებზე — მომავლის მზვერავებზე საუბარს.

— წლის ბოლომდე, — ამბობს იგი, — აქ წიდაბლოკებისაგან დამატებით ავაშენებთ 36-ბინიან ოთხ კაპიტალურ სახლს, ერთ და ორბინიან 25 ასაწყობ სახლს. ამასთან მშენებლებისათვის ავაგებთ სასადილოს, აბანოს, კლუბის, სამედიცინო პუნქტის შენობებს, ხოლო გაისად საკუთარი სკოლაც გვექნება.

* * *

ბიჭვინთმშენის უფროსი ნიკოლოზ ჩხეტია ხის პატარა ჯიხურში ვნახეთ. მაგიდაზე მშენებლობის გენერალური გეგმა გადაეშალა და ახლახან შექმნილი მეორე სამშენებო უბნის უფროსს ალექსანრე მინჯიას მითითებებს აძლევდა.

— ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, — ეუბნებოდა იგი უბნის უფროსს, — რომ ბიჭვინთაში ძირითად ობიექტთა მშენებლობის წარმატებით დაწყება და დამთავრება საცხოვრებელი ბინების გარდა საწარმოო ბაზის დროულად და ხარისხიანად მომზადებაზეა დამოკიდებული, რასაც წლის ბოლომდე უნდა მოვრჩეთ.

მშენებლობის უფროსმა იმ ადგილას მიგვიყვანა, სადაც ახალმშენებლობათა საწარმოო ბაზას აგებენ. დინჯად, საქმის ღრმა ცოდნით გაგვიმარტავს ყოველ წვრილმანს.

მშენებელთა დასახლებისა და საწარმოო ბაზის მოსამზადებლად ჩვენი მოღვაწეობა, — ამბობს ნ. ჩხეტია — მცირეოდენი სამუშაოა იმასთან შედარებით, რაც შემდგომ ძირითად ობიექტზე — ბიჭვინთაში უნდა გავაკეთოთ.

ამ ობიექტის მშენებლობის წარმატებით დასრულებით ჩვენთან ერთად თანაბრად არიან დაინტერესებული მოძმე რესპუბლიკების სხვა ხალხებიც, რომლებმაც ძმური დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. რუსეთიდან მივიღეთ ახალი მძლავრი ექსკავატორი, ორიოლის სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან — უნივერსალური ავტოგრეიდერები, ლვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან — მძლავრი კოშკურა ამწეები, ქუთაისიდან — თვითსაცლელი ავტომანქანები, უკრაინის ყდანოვის ლითონკონსტრუქციების ქარხნიდან — ე. წ. კასეტის ქარხნის ძვირფასი მოწყობილობანი. ეს საწარმო დაამზადებს მომავალი პანსიონატის საკედლე და გადასახურავ ასაწყობ პანელებს. მშენებლობის საწარმოო ბაზის ტერიტორიაზე იგი სულ რაღაც ათას კვადრატულ მეტრს დაიკავებს, ხოლო ყოველწლიურად ათეულ ათასობით კვადრატულ მეტრ ასაწყობ პანელებს გამოუშვებს, რითაც ძალიან შემცირდება თვითეული კვადრატული მეტრი ფართობის ღირებულება.

— როცა აქ — ბზიფში მშენებელთა დასახლებისა და მათთვის საწარმოო ბაზის სამშენებლო სამუშაოებს დავასრულებთ, — განაგრძობს ნ. ჩხეტია, — და ამა წლის ბოლომდე შევქმნით ყოველმხრივ უზრუნველყოფილ, საიმედო ხურგს, მაშინ ძირითად ობიექტზე — მშენებლობის მოწინავე ხაზზე ძლევამოსილ შეტევაზე გადავალთ, და უდაბურ ადგილას უმოკლეს ვადაში დაიბადება ახალი ქალაქი, რომლის მშენებლობას მომავალი წლის დამდეგს უნდა შევუდგეთ. ამ სიტყვებზე მშენებლობის უფროსმა ისეთი გამომეტყველებით მიაპყრო მზერა შორს, ზღვის მიმართულებით ფიქვნარის ზოლისაკენ, თითქოს უკვე ხედავდა იქ გაშენებულ საკურორტო ქალაქს — შვიდწლედის პირმშოს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲣᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

◆ **ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ** რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 108,5 პროცენტით, რძისა — 100,1 პროცენტით, კვერცხისა — 101,2 პროცენტით, ბეწვეულისა — 116,2 პროცენტით, ჭურჭეულისა — 124 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ **ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ** რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, რძისა — 100,2 პროცენტით, მსხვილი ტყავისა — 122 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 214 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 103 პროცენტით, კურკოვანი ხილისა — 152 პროცენტით, ბოსტნეულისა — 100,2 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲬᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

რაციონალიზატორთა დანაზოგი

ᲖᲘᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). აქაური მეტალურგები ენერგიულად შრომობენ შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში სულ მცირე მილიონნახევარი მანეთის შეტანისათვის. ამ ვალდებულების შესასრულებლად წარმატებით იღვწიან მეტალურგი რაციონალიზატორები. წელს აქ 95 რაციონალური წინადადება შემოვიდა. აქედან დაინერგა 48 წინადადება, რომელთა წლიური დანაზოგი 800.000 მანეთს მეტია.

გამოცდილმა ინჟინერმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა გ. სორიძემ მესამე საამქროში განახორციელა საკუთარი წინადადება, რითაც შეაცვალა ელექტროლიზური აბაზანების კონსტრუქცია. მარტო ეს წინადადება ქარხანას წლიურად 370.000 მანეთს უზოგავს. სოციალისტური შრომის გმირის ბ. მელქაძისა და ინჟინერ გ. გელესიანის წინადადება, რომლითაც გაუმჯობესდა სილიციმანგანუმის ჩამოსხმის ტექნოლოგია. ამ წინადადების დახერგვით წლიურად 220.000 მანეთი იზოგება.

კარგი წინადადების ავტორები არიან აგრეთვე მეყალიბეები ო. ქათამაძე და გ. ფერაძე. მათი წინადადება სადნობი ღუმელის საკონტაქტო ყბების მუდმივ ყალიბის შექმნას შეეხება და იგი სულ მცირე 40.000 მანეთს ზოგავს წლიურად.

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲘᲔᲑᲘᲗ

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა რვა თვეში დაზოგა და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 404 ათასი მანეთი. ყოველივე ეს მიღწეულია ნედლეულისა და მასალების, კერძოდ თამბაქოს, საჰილზე და სამუნდშტუკე ქაღალდის ეკონომიის, წარმოებაში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით.

ეკონომიის საშუალებათა გამონახვის მიზნით საწარმოს ინჟინერ-ტექნიკოსთა და ნოვატორთა აქტიური მონაწილეობით რამდენჯერმე გაიმართა საწარმოო თათბირები. შემოღებულ იქნა ნედლეულისა და მასალების ეკონომიისა და დანაკარგებთან ბრძოლის ყოველდღიური აღრიცხვის ბარათები. შედეგები კი სისტემატურად შუქდებოდა კედლის გაზეთში, იკვრებოდა დაფებზე. ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვას. დაზოგილი კაპიკებიდან შედგა მანეთები, მანეთებიდან მსხვილი თანხები. პირველი სექტემბრისათვის ცნობილი გახდა, რომ თამბაქოს, საჰილზე და სამუნდშტუკე ქაღალდის ეკონომიამ დიდი თანხა — 303 ათასი მანეთი შეადგინა.

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს რაციონალიზატორული მოძრაობის გასაფართოებლად. ფაბრიკის ხელმძღვანელები და ინჟინერ-ტექნიკოსები უფრო ხშირად საუბრობენ მუშებთან წარმოების „ეიწრო ადგილების“ ლიკვიდაციის საკითხებზე, ქმედითად ეხმარებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი გერმანიის ახალი ცხოვრება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 10 წლისთავი

ნახ. გ. ლომაძისა.

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას—მთელი გერმანიის პროგრესული ძალების გურჯს მშვიდობისათვის, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლაში!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისათვის).

ვილჰელმ პიკი,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათი წელი — ეს არის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურულ დარგებში სწრაფი მშენებლობის, მშვიდობის განმტკიცებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის ათი წელი. ჩვენი რესპუბლიკის შრომისმოყვარე მოქალაქეები კვლავაც ენერგიულად ივლიან წინ და მოკლე ვადებში დაამთავრებენ სოციალიზმის მშენებლობას. ისინი თავიანთი საქმეებით დაუმტკიცებენ ჩვენს ძმებს დასავლეთ გერმანიაში, რომ სჯობს ათასი წვეთი ოფლის დაღვრა მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის, ვიდრე ერთი წვეთი სისხლის დაღვრა ომისათვის.

ვალტერ ულბრიხტი,

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე სამშობლო, მშვიდობისმოყვარე ხალხთა საიმედო მეგობარი და მშვიდობისა და სოციალიზმის ურყევი ბურჯია.

ოტო გროტევოლი,

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრი-პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენი ადამიანები სულ უფრო მეტად ხვდებიან, რომ მათი ღონისძიებანი მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ემსახურებიან გერმანიის მშვიდობიან დემოკრატიულ გაერთიანებას და სოციალიზმის მშენებლობას.

იოჰანეს ბეჰერი

ნათელი გზით

ათი წლის წინათ დაარსდა გერმანიის ისტორიაში პირველი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მუშები და გლეხები, ინტელიგენცია და ჩვენი ხალხის სხვა ფენები ამ სახელმწიფოს დაბადების დღეს აღნიშნავენ როგორც მობრუნების პუნქტს გერმანელი ხალხის ცხოვრებაში.

1949 წლის 7 ოქტომბერს ბონის სეპარატიული სახელმწიფოს შექმნის პასუხად აღმოცენდა სახელმწიფო, რომელმაც ჩვენი მებრძოლი მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გამოიტანა გაკვეთილები გერმანიის ისტორიიდან და გამოიყენა საერთაშორისო მუშათა კლასის ბრძოლის გამოცდილება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარება მოწმობს, რომ ჩვენი პარტია მუდამ ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, ითვალისწინებს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს. მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო ჭეშმარიტება და საერთაშორისო მუშათა კლასის დიდი გამოცდილება, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ისტორიის გაკვეთილები, ჩვენმა პარტიამ გერმანიის კონკრეტულ პირობებს შეუფარდა.

უკვე 1945 წელს გაერთიანებულმა მუშათა კლასმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იწყო შექმნა წანამძღვრებისა სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის. დემოკრატიული რეფორმების გატარებამ, მონოპოლიებისა და მსხვილ მემამულეთა ადგილ-მამულების ექსპროპრიაციამ, განათლებაზე მდიდართა უპირატესი უფლებების ლიკვიდაციამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს გერმანელი ხალხის ისტორიაში.

ჩვენში ძირფესვიანად მოსპობილია ფაშიზმი და მილიტარიზმი და მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილია ანტიფაშისტურ-დემოკრატიული წყობილება, რომელმაც გაერთიანა ხალხის მთელი ძალები, რომლებიც მშვიდობისა და დემოკრატიისათვის იბრძვიან.

მუშათა კლასის პარტიამ ჩვენს ხალხს უჩვენა, რომ ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მტკიცე მეგობრობას საბჭოთა კავშირთან, რომელმაც გერმანელ ხალხს მოუტანა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლება და მუდამ ეხმარება მას ახალი ცხოვრების შენებაში.

გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ გერმანელ ხალხს უჩვენა გზა, რომელსაც იგი მიჰყავს ბედნიერებისა და აყვავებისაკენ და უზრუნველყოფს მისთვის ნათელ მომავალს.

სოციალიზმს ჩვენ ვაშენებთ ხელსაყრელ პირობებში, მზარდი მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობის პირობებში. იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმზე გადასვლას, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი საქმე უძლეველია.

სკკპ XXI ყრილობამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები თავიანთი განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე გადავიდნენ. მათი ერთობლივი სოციალისტური დაგეგმვა, კოოპერირება და შრომის განაწილება სოციალიზმის ყველა ქვეყნის წარმატებითი განვითარების გარანტიაა. ამას განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმა.

ჩვენი პარტიის V ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამა და განსაკუთრებით გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების პრინციპები ყველას უჩვენებენ, რომ ამჟამად მხოლოდ მუშათა კლასის პარტიას — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას აქვს გერმანელი ხალხის ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის ნამდვილად რეალური პროგრამა. მარტო ჩვენ ძალგიძს გავცეთ პასუხი გერმანელ ხალხს მისი მომავლის საკითხებზე.

ასრულებენ რა პარტიის ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

დროის მაქსიმალური მოგებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამრეწველო პროდუქციის ზრდა. იმ დროს, როცა დასავლეთ გერმანიაში იზრდება ქვანახშირის არარეალიზებული მარაგი, სულ უფრო ვრცელდება არასრული სამუშაო კვირა და თანდათანობით იზრდება ცხოვრების ღირებულება, ჩვენში სამრეწველო პროდუქციის ზრდამ მიმდინარე წლის პირველ რვა თვეში შეადგინა 12,9 პროცენტი გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამის მეოხებით შესაძლებელი გახდა ფასების შემცირება, მშრომელთათვის ხელფასის მომატება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ მიმართული ბევრი სხვა ღონისძიების განხორციელება.

ამჟამად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა სწრაფ სოციალისტურ გარდაქმნათა ხანას განიცდის. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის შემდეგ, ჩვენი სოფლის მეურნეობის წარმატებათა მეოხებით სულ უფრო მეტი საშუალო გლეხი რწმუნდება სოფლის განვითარების სოციალისტური გზის სისწორეში და აცხადებს, რომ სურს შეიდგეს სახოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივში. სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის წილი განუწყვეტლივ იზრდება და ახლა უკვე 50 პროცენტს სჭარბობს.

თანმიმდევრული საშვიდობო პოლიტიკისა და ეკონომიური წარმატებების მეოხებით გაიზარდა ჩვენი სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი. დასავლეთი სახელმწიფოების მიერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო ცნობა, რაც გამომდინარეობს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირში მისი მონაწილეობიდან, კიდევ ერთ-ერთი დადასტურებაა ჩვენი საგარეო პოლიტიკის იმ ხაზის სისწორისა, რომელიც პარტიის V ყრილობამ დასახა.

დასავლეთ გერმანიაში განვითარება საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ადენაუერის კლერიკალურ-მილიტარისტული დიქტატურა სპობს ხალხის დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს. იგი ცდილობს ხელი შეუშალოს საერთაშორისო დაძაბულობის ყოველ შენელებას და სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგების მიღწევას. ნატოს პოლიტიკის, გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინების მეოხებით დასავლეთი გერმანია ომის საშიშროების მთავარი კერა გახდა. მაგრამ შეიძლება არ დავეჭვდეთ იმაში, რომ „ცივი ომის“ ინიციატორები და „ცხელი“ ომის წამქეზებლები იქაც დამარცხდებიან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შეუჩერებლად მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით. მთელ სოციალისტურ ბანაკთან ერთად, რომელსაც საბჭოთა კავშირი უდგას სათავეში, ჩვენ უკეთესი მომავლისაკენ მივდივართ.

ჰერმან მატერნი,

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ვჭექოთ ახალი სიმღერა

გული ხალისით გვიღელავს,
სახეზე ღიმი ელვარებს,
ვჭექოთ ახალი სიმღერა,
გადასწვდეს მთებს და მწვერვალებს.
ვჭექოთ სიმღერა, ვახარო
ცა ვარსკვლავებით ნაგები,
გადავფრქვეთო სამყაროს
მშვიდობის ტკბილი მანგები,
თავისუფლებას ვუმღერით,
ვუმღერით ნანატრ დიდებას,
დავლეწეთ ჩაგვრის უღელი,
სამშობლო მზისებრ ბრწყინდება.
ეშხი და მშვენიერება
გვალაღებს ახალ ცხოვრების,
გვახარებს ბედნიერება
მონაპოვარი ბრძოლებით.
დიდ მეგობრობას ვუმღერით,
ალის სხივთა დინებას,
გულში რწმენა გვაჭეს ულევი,
მზე აღარ დაგვებინდება.
გული ხალისით გვიღელავს,
სახეზე ღიმი ელვარებს,
ვჭექოთ ახალი სიმღერა,
გადასწვდეს მთებს და მწვერვალებს.

თარგმანი გერმანულიდან

ზოთა ამირანაშვილისა.

ქართველი კოლმეურნეები კავშირს ამყარებენ გერმანელ მეგობრებთან

ბაკურციხელები იწვევენ...

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჰალეს ოლქი, ეისლებენის რაიონი

სოფელ პოლებენის ტომას მიუნცერის სახელობის სახოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარეს ამხანაგ

მაქს ბრომელს

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები მხურვალედ მოგესალმებით და გილოცავთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-10 წლისთავს.

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა წარმატებებს მიაღწია თქვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ სახალხო ხელისუფლების წლებში. ჩვენი კოლმეურნეები დიდი ინტერესით გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალას ჰალეს ოლქის მერზებურგის რაიონის სოფელ შაფშტედტის ფრიდრიხ ენგელსის სახელობის საწარმოო კოოპერატივის საქმიანობისა და მისი წევრების ცხოვრების შესახებ. თქვენც ხომ ვილჰელმ პაიეონთან ერთად ამ კოოპერატივში მუშაობდით ადრე! ჩვენ კმაყოფილებით შევხვდით აგრეთვე ცნობას, რომ ფრიდრიხ ენგელსის სახელობის საწარმოო კოოპერატივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ჩვენი ქვეყნის პიატიგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროლეტარსკაია ვოლიასთან“.

ამ ორი სასოფლო-სამეურნეო არტელის მაგალითით ჩვენც გვინდა მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ თქვენთან.

ეშხს გარეშეა, თქვენს საქმიანობაში არის ბევრი ისეთი რამ, რის შესწავლაც სარგებლობას მოგვიტანს. აგრეთვე არც ჩვენი მუშაობის გამოცდილება იქნება თქვენთვის ინტერესს მოკლებული.

მაშ მოდით, ძვირფასო გერმანელო ძმებო, ჩავეგბათ ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა უფრო მეტად ვამტკიცოთ ჩვენი წარმატებანი სოსოფლო-სამეურნეო წარმოებაში, უფრო მეტად განვამტკიცოთ მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს შორის.

თქვენი ეროვნული დღესასწაულის წინა დღეს გიგზავნით თქვენ და თქვენი სახით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს ჩვენს მხურვალე ძმურ სალამს და საუკეთესო სურვილებს. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ხალხთა შორის საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის თქვენს სახელოვან ბრძოლაში.

საქართველოს სსრ გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის წევრთა სახელით, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ნიბლაძე.

საიუბილეო გამოფენა

3 ოქტომბერს სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით ეროვნული ეკონომიკის მიღწევათა გამოფენის მსუბუქი მრეწველობის პავილიონში. (საკადესი).

მისასალმებელი თაოსნობა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინათ გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. ნიბლაძემ არტელის წევრთა სახელით მისასალმებელი წერილი გაუგზავნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჰალეს ოლქის ეისლებენის რაიონის სოფელ პოლებენის ტომას მიუნცერის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარეს ამხ. მაქს ბრომელს.

გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ მოსკოველმა კორესპონდენტმა გვაცნობა, რომ მაქს ბრომელმა უდიდესი სიხარულით მიიღო ბაკურციხელ კოლმეურნეთა მისასალმებელი წერილი, რომელიც თავის სიპასუხო წერილთან ერთად გამოსაქვეყნებლად გადასცა „ნოიეს დოიჩლანდის“ რედაქციას, ამასთან გვთხოვა იგი ჩვენს გაზეთში გამოგვექვეყნებინა.

ქვემოთ ვბეჭდავთ აღნიშნულ წერილებს.

გამოწვევა მიღებულია!

საქართველოს სსრ, გურჯაანის რაიონი

სოფელ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარეს შალვა ნიბლაძეს

ძვირფასო ქართველო მეგობრებო! გულითა და სულით გიხდით მადლობას თქვენი მისალმებისათვის და მოლოცვისათვის, რომელიც გამოგვიგზავნეთ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულთან — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ, ისევე როგორც შაფშტედტის ფრიდრიხ ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი და პიატიგორსკის კოლმეურნეობა „პროლეტარსკაია ვოლია“, მზად ვართ ჩავებათ თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს შეჯიბრება ჩვენთვის იქნება სტიმული, რათა უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, ვიდრე ეს მოპოვებული იყო ჩვენი ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის 10 წლის განმავლობაში, აგრეთვე ეს სტიმული იქნება იმისათვის, რომ წარმატებით დავამთავროთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

თქვენ მართალი ხართ, 1956 წლამდე მე თვითონ ვიყავი შაფშტედტის ფ. ენგელსის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის გამგეობის წევრი ვილჰელმ პაიეონთან და პაულ ბენესთან ერთად. სწორედ ამ კოოპერატივში მივიღე საწარმოო მეურნეობის ხელმძღვანელობის გამოცდილება. 1954 წელს სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის მივიღე მესამე ხარისხის ეროვნული პრემია. ტომას მიუნცერის სახელობის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის გამგეობა, კოოპერატივის ყველა წევრთან ერთად, თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ ჩვენი საწარმოო კოოპერატივი მოწინავე გავხადოთ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს შორის დაწყებული შეჯიბრება მეტად სასარგებლო იქნება ორივე პარტნიორისათვის, რადგან ორივე მხარის მიზანია ერთმანეთისაგან გისწავლოთ და სოციალისტურ მშენებლობაში ერთიანი ძალით მოვიპოვოთ საყოველთაო წარმატება.

სოფელ პოლებენის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის გამგეობის დავალებით, კოოპერატივის თავმჯდომარე მაქს ბრომელი, ეროვნული პრემიის ლაურეატი.

ანა ზეგერსი

ახალმოსახლე

ნოველების ციკლიდან „მშვიდობა“

დაბეჩავებული, დასერილი და ჩამოძონძილი, სამოსელდაგლეჯილი და ფეხებდასისხლიანებული, შიშის, ეშვისა და სიცრუისაგან სულის სიღრმემდე მოშხამული ჩამოვიდა ომის დამთავრების შემდეგ ანტონ ბანდუში სოფელ მაგეველში, ბრანდენბურგში, ცოლთან ერთად. გულჩახუჩულს თითქოს სულს უწოწქნიდა და უძიძგნიდა რაღაც ხენეში განცდა. სიტყვაზე ყველას დაცინვითა და ძუნწად აძლევდა პასუხს. გამოწყდილ ხელს ისე უკუაგდებდა, თითქოს დასარტყმელად აქნიათ. დახმარებას არ იღებდა, შუბლს არ გაიხსნიდა, უნდობლად უყურებდა ყველას და ყველაფერს.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ მემამულეს მიწა ჩამოართვა, ლარის სოფლელებს დაურიგა და მას, როგორც მოახალშენეს გლეხს, შვიდნახევარი ჰექტარი მიწა მიუზომეს, პირველად შეუდგა თავისი მიწის დამუშავებას, და ისიც ცოლის დაეხმარებოდ. მუშაობდა, მაგრამ თავი კი ისე ეჭირა, ვითომ უბრძანეს ამ მიწის დამუშავება: თითქოს საბატონო ბეგარას ასრულებდა. მიწას გარდა მიიღო საშუალო იარაღები, ერთი ძროხა და საბატონო საქონლის ნაწილი. მხოლოდ მაშინ, როცა ახალ გლეხებად წოდებულ მოახალშენეებს სესხი მისცეს და თვითონაც ბინა მიიღო, მან, როგორც იქნა, შეწყვიტა წყეული, უფრო სიტყვაძუნწი და ბუზღუნა გახდა, თითქოს შხამიან გამოთქმებთან ერთად მეტყველების უნარიც დაკარგაო კუშტად და უსიტყვოდ მუშაობდა ყანაში, ასრულებდა თავის „წილს“ და ბოლოს შეასრულა კიდეც.

ადამიანებს ერიდებოდა. არც კრებაზე დადიოდა, არც სხვათა საცხოვრებელში, საკუთარ ცოლსაც კი უმალავდა თავის ფიქრებს, ასე რომ, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ამ ადამიანს აზრები სულაც არა აქვსო. გეგონებოდათ, ყმათა სიკვდილ დაეკნო მისი შინაგანი არსება.

მაგრამ ანტონ ბანდუშსაც ჰქონდა თავისი აზრები, და ეს გამოხატა შარშან, როცა ჰაგეველდში სამშვიდობო მოსავლის ზეიმი გადაიხადეს.

ახალი მოსავლის სამხიარულო ზეიმზე ის გამოცხადდა თავისი ძველი ძონძებით, უწინდებურად შუბლშეკრული. ერთ დახავსებულ ორთვალას მოათრევდა, ზედ დაეწყო ძველმანები, დაგლეჯილი ფეხსაცმელი და ყოველნაირი ნაგავი, მაღლა კი ასეთი წარწერა გაეკრა:

„ამას ვუმადლი ჰიტლერსა და მის ომს“.

უკან მოჰყვებოდა ცხენებშეშინებული აღალი. ხორბლის მაღალ ზვინზე ამაყად იჯდა მისი საუცხოოდ ჩაცმული მეუღლე, ზემოთ კი აღმართული იყო ასეთი წარწერა:

„ამას ვუმადლი ბატონ ბანდუს“.

ეს ორი ეტიკეტი ერთ-ერთ ბოლოს ბანდუ ბანდუ ბანდუ

საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფი

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვების გამო

★ ★



ძმობას ადიდებს
გერმანელი მუშა და გლეხი,
გააკრობს იმას,
ვისაც უნდა გავარდეს მეხი.

ვისაც სურს დარჩეს
გერმანია წელში გამწყდარი,
თვითონ გაწყდება
დღეს ატომის ყინით ამტყდარი.

ნახ. გ. ლომიძისა

საუკუნეებრივი ოცნების განხორციელება

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება ამერიკის შეერთებული შტატების პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები ამ მოვლენას უთმობენ მთელ გვერდებს: იბეჭდება მოსკოველი და გაშინგტონელი კორესპონდენტების ცნობები, მეცნიერთა განცხადებანი, კომენტარები.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სარედაქციო სტატიაში აცხადებს: „საბჭოთა რაკეტის მთვარეზე დაშვება იყო მეტად ეფექტიანი მიღწევა. მაგრამ „კოსმოსური რაკეტა № 3, რომელიც ახლა მთვარის მიმართულებით მიფრინავს, კიდევ უფრო რთული და ძნელი ღონისძიებაა, ეს არის ნამდვილი ნახტომი გაურკვევლობაში... დიდია იმის შესაძლებლობა, რომ გამდიდრდეს ადამიანთა ცოდნა კოსმოსის შესახებ, რაც ამ ღონისძიებით ისახება, და გულწრფელი და დამსახურებულია ის მილოცვები, რომლებსაც უგზავნიან საბჭოთა მეცნიერებს მათი დასავლეთელი კოლეგები. სასულელე იქნებოდა, რომ ამერიკელების მილოცვებს რუსების მიმართ ჰქონდეს შერის გრძნობა ან მისწრაფება შეამცირონ ამ ფაქტის მნიშვნელობა“.

„საბჭოთა კავშირმა, — აცხადებს თავის მხრივ გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — იდღესასწაულა პირველი თანამგზავრის მეორე წლისთავი იმით, რომ გაუშვა რაკეტა, რომელმაც უნდა შემოუაროს მთვარეს და შემდეგ დაუბრუნდეს ჩვენს პლანეტას. თუ ეს ისტორიული გმირობა წარმატებით დამთავრდა, მთელი კაცობრიობა მიესალმება მეცნიერებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ამის განხორციელება. ყველაზე წარმტაცი, რასაკვირველია, არის იმის შესაძლებლობა, რომ ეს რაკეტა შესაძლებელს გახდის პირველად შეეხეოთ მთვარის მეორე მხარეს... ეს ნამდვილად იქნება საუკუნეებრივი ოცნების განხორციელება“.

რუსეთის ახალი რაკეტა, განაცხადა ერთ-ერთმა თვალსაჩინო ამერიკელმა მეცნიერმა დოქტორმა ჰომერ ნიუელმა, — „მოგვცემს დღემდე არსებულ ყველა ცნობაზე უფრო სრულ ცნობებს დედამიწასა და მთვარეს შორის კოსმოსური სივრცის პირობების შესახებ“.

პრესა აღიარებს აგრეთვე შეერთებული შტატების მნიშვნელოვან ჩამორჩენას კოსმოსური სივრცის ათვისებაში. მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ „საბჭოთა კავშირის ორი უკანასკნელი მიღწევა რაკეტების გაშვების დარგში ამტკიცებს, რომ კოსმოსის გამოკვლევასა და რაკეტულ ტექნიკაში ჩვენ ჯერ კიდევ დიდად ჩამოვრჩებით საბჭოთა კავშირს“.

ამავე დროს ამერიკელი მიმომხილველები და გაზეთები, აღიარებენ რა საბჭოთა კავშირის უპირატესობას კოსმოსის ათვისებაში, ამ დარგმიებს იყენებენ იმისათვის, რომ მოუწოდონ შემდგომ განავითარონ რაკეტული ტექნიკა, ამასთან ხაზს უსვამენ სამხედრო მიზნებს.

ცხოველი ინჟერესი

კაირო, 4 ოქტომბერი. (საკდესი). მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვების ამბავმა ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია კაიროს დღევანდელ საღამოს პრესაში. გაზეთები რაკეტის გაშვების ფაქტებს ათავსებენ პირველ გვერდზე მეტად დიდრონი სათაურებით. „ალ-მასა“ — „კოსმოსური სადგური მთვარისაკენ. საბჭოთა კავშირმა დღეს დილით გაუშვა კოსმოსური რაკეტა პლანეტათშორისი სადგურით. სადგური შემოუვლის მთვარეს, შემდეგ დედამიწას მოუახლოვდება“.

გაზეთი „ალ-მასა“ სპეციალურ განყოფილებაში „1957 წლის 4 ოქტომბრიდან 1959 წლის 4 ოქტომბრამდე“ ჩამოთვლის საბჭოთა კავშირში ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების გაშვების ყველა თარიღებს.

„გუდი თქვენთან დამრჩა...“

ამ სიტყვების ავტორი მოსკოვში ცხოვრობს. მისამართია — მოსკოვი, კ-12, სტაროპანსკის შესახვევი, 3, ძინ ძია-შენს. ეს მისამართი ცხაკაიაში იცის თითქმის ყველა ახალგაზრდამ, ვინც კი მას შეხვედრია.

სულ ხუთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ძინ ძია-შენი ეწვია ქ. ცხაკაიას, მაგრამ მეგობრობა ისე განმტკიცდა, რომ ჩინელი მეგობარი თითქმის ყოველ კვირას გზავნის წერილს.

ხარბინის მკვიდრი ძინ ძია-შენი მოსკოვის ჰელმინთოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტია. მას აინტერესებდა ჰელმინთებით დაავადების ახალი დიაგნოსტიკური მეთოდის შემოწმება სასოფლო-სამეურნეო ცხოველებზე. მისი ყოფნა ცხაკაიას რაიონში გადაიქცა მოძმე ხალხების სიყვარულის ახალ გამოვლინებად.

ძინ ძია-შენს შეხვედრები ჰქონდა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, სოფლის მეურეობის მუშაკებთან, მოსწავლეებთან. მოსკოვში დაბრუნებისთანავე მან გამოგზავნა წერილები და სურათები. ცხაკაიას საშუალო სკოლის დირექტორმა ნინო გუგუნავამ ახლახან მიიღო ძინ ძია-შენის წერილი და წიგნი, რომლის ავტორია ჩინელი კლასიკოსი ცაო სიუე-ძინი (რომანი „სიზმარი წითელ კოშკში“ ორ ტომად).

„ძვირფასო ქართველო ახალგაზრდა მეგობრებო, ძვირფასო ქართველო ამხანაგებო! — წერს ჩინელი. — დრო სწრაფად მიფრინავს — საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით. დავშორდით ფორმალურად, გული კი თქვენთან დამრჩა. თქვენთან შეხვედრაზე ვესაუბრე ჩემს თანამემამულეებს, რომლებიც აგრეთვე მოსკოვში სწავლობენ. ისინი მეგობრულ, გულითად სალამს გითვლიან“.

ჩინელი მეგობრის წერილებს მუდამ სიხარულით მოელიან ცხაკაიაში.

ბ. მილიუტინი.

ნოტების გაცვლა

დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის

24 სექტემბერს დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩომ საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელიც შეიცავს თხოვნას, რომ საბჭოთა მთავრობა დათანხმდეს, რათა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ დათბირის განახლება გადაიდოს 27 ოქტომბრამდე.

1 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს გაუგზავნა სპასუხო ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ამოცანის უსწრაფესად გადაჭრის ინტერესებისათვის ამჯობინებს, რომ სამ სახელმწიფოს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად 12 ოქტომბერს განახლდეს თათბირის მუშაობა. მაგრამ აღნიშნულია ნოტაში, სსრ კავშირის მთავრობას არ შეუძლია არ გაუწიოს ანგარიში დიდი ბრიტანეთის მთავრობის თხოვნას და არ იქნება იმის წინააღმდეგი, რომ თათბირმა მუშაობა განაახლოს 27 ოქტომბერს. ითვალისწინებს რა ამასთან დიდი ბრიტანეთის მთავრობის სურვილს, რომ ექნეს მოლაპარაკება, როცა იგი განახლდება, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს წარმატებით.

სსრ კავშირის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნულია ნოტაში, გამოთქვამს იმედს, რომ მოლაპარაკების ყველა მონაწილე ყოველ ღონეს იხმარს, რათა თათბირის მუშაობა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ატომგულის იარაღის ყველა სახეობის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით. (საკდესი).

მეცნიერულ-ტექნიკური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი

ბუდაპეშტი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში დაიწყო მანქანათმშენებლობის მეცნიერულ-ტექნიკური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობას იღებს ევროპისა და ამერიკის 17 ქვეყანა, რომლებმაც დათვალიერებაზე წარმოადგინეს 187 მეცნიერულ-ტექნიკური ფილმი.

საბჭოთა კავშირი ფესტივალზე აჩვენებს 20-ზე მეტ ფილმს.

„თავისუფალი მეცნიერების ძალა“

სოფია, 6 ოქტომბერი (საკდესი). მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტისა და ავტომატური სპალანეტათშორისო სადგურის ფრენა ბულგარეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. დღევანდელი ცენტრალური გაზეთები გამოვიდა დიდი სათაურებით „საბჭოთა მეცნიერების ახალი ბრწყინვალე გამარჯვება“, „დიდება საბჭოთა ხალხს — კოსმოსის დამპყრობლ!“, „მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა ახალი წელილია დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებაში“.

მოწინავე სტატიაში „თავისუფალი მეცნიერების ძალა“ გაზეთი „ოტჩესტვენ ფრონტი“ წერს, რომ დედამიწის სამი ხელოვნური თანამგზავრი და სამი კოსმოსური რაკეტა ორ წელიწადში აყვავებული საბჭოთა საზოგადოების გრანდიოზულ მიღწევათა ნაწილია, ბუმბერაზული შემოქმედებითი გაქანების ნაყოფია...

მთელი მსოფლიო მოწმეა საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკოსების, მუშების ახალი დიადი საქმისა, მოწმეა სოციალიზმის ძალის და უპირატესობის ახალი ბრწყინვალე დადასტურებისა, ნათქვამია გაზეთ „ზემედელსკო ზნამეს“ მოწინავე სტატიაში. მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის წარმატებით ფრენა კიდევ ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა იმ. აშკარა ფაქტისა, რომ საპლანეტათშორისო ფრენის საუკუნე სოციალიზმის საუკუნეა.

ერთსულოვანი აღიარება

ვენა, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ვენის გაზეთები გამოვიდა დიდრონი სათაურებით: „ახალი საბჭოთა რაკეტა“, „სსრ კავშირი კოსმოსური სივრცის შესწავლის დარგში წინ არის 20 წლით“.

გაზეთების უმრავლესობა იუწყება დასავლეთის მეცნიერთა აღტაცებას საბჭოთა მეცნიერების ახალი შესანიშნავი წარმატებით. მეცნიერთა გამონთქვამებში ხაზგასმით აღნიშნულია საბჭოთა კავშირის წამყვანი როლი კოსმოსური სივრცის გამოკვლევის დარგში. „მესამე საბჭოთა სამთვარეო რაკეტის გაშვებამ, — აღნიშნავს „კურიერი“, — და ცნობამ ამ ექსპერიმენტის მიზნების შესახებ დასავლეთის ყველა მეცნიერის ერთსულოვანი აღიარება პოვეს“.

ერთიანი ფრონტი

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინის „ტაგეს სპეგელ“ ფრანკფურტ ონ მაინ ბერლინ“ ... ...